



საქართველოს სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N8 პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგის შესახებ

(2015-2016 წელი)



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. შესავალი	3
2. არასათანადო მოპყრობა	7
3. უსაფრთხოება.....	12
4. პატიმრობის პირობები	20
4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.....	20
4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები.....	23
5. სამედიცინო მომსახურება	30
6. კვება	38
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება	39
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან	45

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 24, 25 და 26 ნოემბერს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის¹ და შემდგომ პერიოდში, 2016 წლის პირველ რვა თვეში ჩატარებული. მონიტორინგის შედეგებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.² ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია.

N8 დაწესებულება პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,³ რომელიც განკუთვნილია 3672 პატიმრის განთავსებისთვის. 2015 წლის 24 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 2453 პატიმარი, მათ შორის 1472 მსჯავრდებული და 981 ბრალდებული. 2453 პატიმართაგან დაწესებულებაში იმყოფებოდა 17 არასრულწლოვანი. ვიზიტის დღეს დაწესებულების სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 117 პატიმარი.

ვიზიტის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს არაერთი შეტყობინება პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ, კერძოდ, რაც გამოიხატებოდა დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მხრიდან ფსიქიურ ზეწოლასა (მუქარაში და დაშინებაში) და ფიზიკურ შეურაცხყოფაში. პატიმართა გადმოცემით, რიგ შემთხვევებში დაწესებულების თანამშრომლები სრულიად უმიზეზოდ მიმართავენ უხეშად, ხმამაღლა და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ

¹ N8 დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2014 წლის 27-28 ნოემბერს. აღნიშნული ანგარიში ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2223.pdf>

² სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, ლევან ბეგიაშვილი, ირმა მანჯავიძე, კახაბერ გოგაშვილი, თეიმურაზ რეხვიაშვილი, ეკა ქობესაშვილი და სოფია ნემსიწვერიძე; სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი: მარიეტა ახვლედიანი; გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი: მერი მაღლაფერიძე.

³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N 106 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ.

დაწესებულებაში ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პატიმრების ურთიერთდაპირისპირების ფაქტებს.

საგულისხმოა, რომ N8 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.⁴ ამასთანავე, სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების აღრიცხვა პრაქტიკაში განხორციელდება ყველა იმ სტანდარტის შესაბამისად, რაც დადგენილია „სტამბოლის პროტოკოლით“.

არსებული პრაქტიკით, N8 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევებით მოთავსების ვადა არ აღემატება 60 დღეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის პერიოდთან შედარებით 2016 წლის პირველი 8 თვის პერიოდში თითქმის ორჯერ არის გაზრდილი პატიმართა განცალკევებით მოთავსების შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის მიერ უარყოფითად შეფასდა.⁵

როგორც N8 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსება ზოგ შემთხვევებში ხდებოდა საკმაოდ ხანგრძლივი ვადით (20, 22 დღე) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსების შემთხვევებში ხანგრძლივობა შედარებით შემცირებულია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ვადით პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსება, შესაძლოა გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და ზრდის ამ პატიმრების მხრიდან საკუთარი თავისთვის ან სხვა პირებისთვის საფრთხის შექმნის რისკს.⁶

აღსანიშნავია, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილების დერეფნებში (მათ შორის დეესკალაციის ოთახებთან) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათვალთვალო კამერების

⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანება

⁵ 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში განცალკევებით მოთავსებული იყო 40 პატიმარი, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში – 74 პატიმარი.

⁶ გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევენ, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement> [ბოლოს ნანახია: 04.07.2015].

სისტემის სათანადო ფუნქციონირება. კამერების ხედვის არე უნდა მოიცავდეს დერეფანს სრულად, ხოლო ჩანაწერები უნდა ინახებოდეს გონივრული ვადით (სულ მცირე, 10 დღით). აღნიშნულის საჭიროება კიდევ ერთხელ დადასტურდა ერთ-ერთ ემთხვევაში, სადაც პატიმარი მიუთითებდა, რომ დეესკალაციის საკნებთან მორიგე ცვლაში მყოფმა თანამშრომლებმა, იგი გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან და დერეფნის იმ ნაწილში, სადაც არ არის ვიდეო მეთვალყურეობა, დაწესებულების თანამშრომლებმა მას ცემეს მუშტებით და ფეხებით. უდავოა, გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება იმ მომენტისათვის რომ ყოფილიყო სათვალთვალ კამერებით აღჭურვილი, შესაძლებელი გახდებოდა გამოძიებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მტკიცებულების, ვიდეო ჩანაწერის მოპოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. ზოგ საკნებში შეინიშნება სინესტე. დაწესებულებაში არსებული მოსაცდელი საკნები ნაწილობრივ მიწის საფარს ქვეშაა მოქცეული, რის გამოც საკნებში განათება და ვენტილაცია არასაკმარისია, ხოლო სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი. ვიზიტის დროს, მოსაცდელ საკნებში იდგა სპეციფიური სუნი და შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით ტარაკნები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების ვიზიტის დროს, დადგინდა, რომ საკარანტინე საკნებში მყოფ პატიმრებს არ ქონდათ თეთრეული და მათი განმარტებით, ვერ სარგებლობდნენ დაბანის უფლებით.

დეესკალაციის ოთახებში არის მხოლოდ ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ოთახებში ფანჯრები არ იღება. პატიმართა განმარტებით, სამივე ოთახში, დღისითა და ღამით, მუდმივად ანთია შუქი.⁷ ვიზიტის დროს, დეესკალაციის ოთახებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი და იქ მყოფ პირებს არ ქონდათ პირადი ჰიგიენის ნივთები თეთრეული, პირსახოცი და ბალიში. პატიმრები ვერ სარგებლობდნენ დაბანის, გასეირნების, სატელეფონო ზარის განხორციელების, პაემნის, მაღაზიით სარგებლობისა და კორესპონდენციის გაგზავნის უფლებებით.

დაწესებულების საერთო სარგებლობის საშხაპეებში არსებული სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა და ვენტილაცია არადამაკმაყოფილებელია. საშხაპეებში არ არის სკამები და საკიდები პირადი ნივთების (ტანისამოსის, პირსახოცის და სხვა) მოსათვასებლად. საშხაპეებში ზოგიერთ შხაპს არ აქვს წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმი. საშხაპეებში კედლები და ჭერი შელახულია, საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

N8 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსების ბოლო სართულზე. სასეირნო ეზოებში არ არის რაიმე სახის ინვენტარი, სკამები და ზოგადად დამთრგუნველი გარემო.⁸ პატიმრებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა. პატიმრების გადმოცემით, ისინი ხშირად არ სარგებლობენ ჰაერზე გასეირნების

⁷ შუქის ანთება-ჩაქრობა რეგულირდება ოთახების გარედან, დაწესებულების თანამშრომელთა მიერ.

⁸ სასეირნო ეზოებთან დაკავშირებული პრობლემები აღნიშნულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში, პას. 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm>

უფლებით, ვინაიდან მათ სასეირნოდ გასვლას სთავაზობენ დილის 7 ან 8 საათზე. ყოველივე ზემოაღნიშნული კი შეიძლება მძიმედ აისახოს მათ ჯანმრთელობაზე.

ქართული ენის არმცოდნე, უცხოენოვანი პატიმრების გადმოცემით, ენის ბარიერის გამო, მათ უჭირთ დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია, რასაც ისევ თავიანთი თანამესაკნეების დახმარებით ახერხებენ.

იმ ფონზე, რომ N8 დაწესებულებაში 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე საშუალოდ 1 539 მსჯავრდებული იხდის სასჯელს, დაწესებულებაში განხორციელებული სარეაბილიტაციო აქტივობები და მათში მსჯავრდებულთა ჩართულობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N8 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობასა და დაგვიანებულ სამედიცინო მომსახურებაზე.

N8 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის გეგმიური წესით სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანის საკითხი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ბრალდებულები/მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას.

დაწესებულებაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს სტომატოლოგიური მომსახურების მიღების საკითხი, ასევე დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა.

2015 წელს N8 დაწესებულებაში სუიციდის მცდელობის 18 შემთხვევა დაფიქსირდა, რომლიდანაც 1 დასრულდა პატიმრის გარდაცვალებით. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ პატიმრებიდან არც ერთი არ იყო ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ N8 დაწესებულებაში მოქმედებს აღნიშნული პროგრამა სუიციდის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელთან შედარებით დაწესებულებაში შეინიშნება დისციპლინური სახდელების დაკისრების ზრდის ტენდენცია, თუ 2014 წელს N8 დაწესებულებაში 1623 დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული, 2015 წელს ეს რიცხვი 2172-ია. დისციპლინური დასჯის შემთხვევები საანგარიშო პერიოდში 25,27 %-ით გაიზარდა.

2015 წლის ბოლო 8 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 2 507 პატიმარი იყო, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე 2 420, 2016 წელს პატიმართა რაოდენობის უმნიშვნელო შემცირებასთან ერთად, ასევე შემცირდა დაწესებულებაში წახალისების შემთხვევები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები მიუთითებენ, რომ პაემნით სარგებლობას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე პატიმართა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა.

2016 წლის პირველი 8 თვის სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვესთან შედარებით ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის მაჩვენებელი შემცირებულია.

პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ მხოლოდ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები. როგორც წესი, პატიმრების ოჯახის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, თვეში ერთხელ ხდება უვადო მსჯავრდებულების ტრანსპორტირება N6 დაწესებულებაში, სადაც ეწყობა ხანგრძლივი პაემანი. აქვე დადებითად უნდა აღინიშნოს, 2015 წელთან შედარებით, 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მაჩვენებლის ზრდა.

N8 დაწესებულებაში ტელეფონის აპარატები განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახებში, რაც შეუძლებელს ხდის სატელეფონო საუბრის დროს კონფიდენციალობის დაცვას. რაც შეეხება კორესპონდენციას, პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებაში მყოფი პატიმრის მიერ თანხმლები პირის გარეშე საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა. ამასთან, საჩივრების ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება. კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება იდენტიფიცირების გარეშე არ ხდება.

2. არასათანადო მოპყრობა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს ზოგადი საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე,

⁹ გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა

პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.¹⁰ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.¹¹

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს არაერთი შეტყობინება პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ, კერძოდ:

ერთ-ერთი პატიმრის განმარტებით, 2015 წლის 16 ნოემბერს N8 დაწესებულების თანამშრომლებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილების დერეფანში. მისივე განმარტებით, ფიზიკური ძალადობის შედეგად მიღებული დაზიანებების აღწერის თაობაზე მიმართა გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში მყოფ მორიგე ექიმს, თუმცა ექიმმა არ დააფიქსირა მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანებები ტრავმების აღრიცხვის ჟურნალში, გარდა მარცხენა ხელის მტევანზე ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის მიზნით მიყენებული თვითდაზიანებისა.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ჩატარებული შემოწმების მიხედვით, ტრავმებისა და დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალში 2015 წლის 16 ნოემბერს დაფიქსირებულია მსჯავრდებულ ვ. ნ.-ს მიერ მარცხენა ხელის მტევანზე თვითდაზიანების მიყენების შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ მოიპოვება ინფორმაცია მსჯავრდებულის სხეულზე არსებული სხვა დაზიანებების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, მსჯავრდებულის სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერის მიზნით, მიმართეს N8 დაწესებულების მთავარ ექიმს, რომელმაც შემდგომში შეადგინა ოქმი და დააფიქსირა, რომ მსჯავრდებულს აღენიშნება მარცხენა თეძოს არეში მოყვითალო-მოლურჯო ფერის კანქვეშა სისხლნაჟღენთი. ამავე ოქმში მსჯავრდებული განმარტავს, რომ დაზიანება მიიღო 2015 წლის 16 ნოემბერს პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შედეგად. იგივე დაზიანება დაფიქსირდა სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ შედგენილ ოქმში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა მის ხელთ არსებული მასალები გამოძიების დაწყების მიზნით გადაუგზავნა მთავარ პროკურატურას, საიდანაც მიღებული პასუხის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ზემოთ მითითებული მსჯავრდებულის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144³-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

¹⁰ იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI

¹¹ იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა, ასევე, პატიმართა გარკვეული ნაწილისგან მიიღეს ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან შესაძლო ფსიქოლოგიური ზეწოლის ფაქტებზე, კერძოდ, მათი განცხადებით, რიგ შემთხვევებში დაწესებულების თანამშრომლები სრულიად უმიზეზოდ მიმართავენ უხეშად, ხმამაღლა და ცდილობენ კონფლიქტური სიტუაციის შექმნას. ამასთან, ერთ შემთხვევაში, პატიმარი მიუთითებდა, რომ მასთან საკანში შეგნებულად შეასახლეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პატიმარი, რომელმაც არაერთხელ სცადა მისი თანდასწრებით თავის ჩამოხრჩობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს N8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების შესახებ მონაცემები:

2015 წლის ბოლო 8 თვის მონაცემები	თვეები								ჯამი
	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	
თვითდაზიანება	83	69	79	65	65	85	46	62	554
საყოფაცხოვრებო	39	46	36	45	29	16	20	29	260
სხვა პირის მიერ	7	10	8	5	8	7	10	6	61
მიზეზს არ აკონკრეტებს	5	7	7	1	2	7	4	3	36
2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემები	თვეები								ჯამი
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	
თვითდაზიანება	3	5	10	7	4	5	5	6	45
საყოფაცხოვრებო	31	36	48	40	34	39	50	22	300
სხვა პირის მიერ	7	14	15	20	18	10	8	12	104
მიზეზს არ აკონკრეტებს	7	8	2	6	8	3	2	6	42

ზემოაღნიშნული მონაცემებით აშკარაა, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის პერიოდთან შედარებით, 2016 წლის პირველ 8 თვეში რადიკალურად შემცირებულია პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად არის გაზრდილი სხვა პირის მიერ პატიმრებისთვის დაზიანების მიყენების შემთხვევები, რაც დაწესებულებაში არასათანადო მოპყრობის რისკის ზრდაზე მიუთითებს და აუცილებელია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაატაროს ყველა საჭირო ზომა ასეთი პრაქტიკის შესამცირებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საექვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი დაზიანების

წარმომავლობად მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, თუმცა დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ. ასე მაგალითად:

- მარცხენა თვალბუდის სისხლნაჟღენთი, შუბლის მიდამოში სისხლნაჟღენთი, კისრის წინა ზედაპირზე სისხლნაჟღენთი, ტუჩებზე ექსკორიაციები, წინამხარზე და მარცხენა მტევანზე ექსკორიაციები. მიზეზი - აბანოში დაცემა.
- თვალბუდის სისხლნაჟღენთი. მიზეზი - საწოლიდან ჩამოსვლისას თავის მირტყმის შედეგად.
- ცხვირის მიდამოს ექსკორიაციები. დაზიანება მიიღო შემთხვევით.
- ზედა ტუჩის შიდა ზედაპირზე ნახეთქი ჭრილობა, მარცხენა თვალბუდის არეში სისხლნაჟღენთი. დაზიანება მიიღო შემთხვევით საკანში წაქცევისას.
- ორივე თვალბუდის არეში და ცხვირის ზედაპირზე შემუპებები და სისხლნაჟღენთები. მარჯვენა თხემ-საფეთქლის არეში კანის ჰიპერემია, ზედა ტუჩის შემუპება, კისრის არეში სისხლნაჟღენთები. მარცხენა მხრის არეში ექსკორიაციები, გულმკერდის წინა ზედაპირზე სისხლნაჟღენთები, ბეჭების არეში სისხლნაჟღენთები. მიზეზი – საყოფაცხოვრებო.
- მარცხენა თვალბუდის არეში და შუბლის მიდამოში სისხლნაჟღენთები, კისრის წინა ზედაპირზე ერთეული სისხლნაჟღენთები. ორივე ტუჩზე მცირე ზომის ექსკორიაციები. მარჯვენა წინამხრის დორზალურ ზედაპირზე ექსკორიაციები, მარცხენა მტევნის არეში ექსკორიაციები. მიზეზი – საყოფაცხოვრებო.
- და ა.შ.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში დაზიანებების ხასიათი და ლოკალიზაცია ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება მიყენებულია სხვა პირის მიერ და პატიმრის განმარტება დაზიანების წარმომავლობის შესახებ დიდი ალბათობით არ შეესაბამება სინამდვილეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად პატიმარი მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, ასეთ შემთხვევებში აუცილებლად მოხდეს სხეულის სრულყოფილად დათვალიერება, სხვა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით, რათა გაირკვეს აქვს თუ არა მას სხვა დაზიანებები, ასევე შეიძლება თუ არა პატიმარს ეს დაზიანება მიეღო იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც ის შემოწმების დროს უთითებს და ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მის მიმართ განხორციელდა ძალადობა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;

- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიაწოდებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ფორმები, რაც საშუალებას მოგვცემს, დაზიანების შესახებ ინფორმაცია ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.¹²

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.¹³

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების ალბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.¹⁴

საგულისხმოა, რომ N8 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიშში.¹⁵

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.¹⁶ ამასთანავე, სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებების აღრიცხვა პრაქტიკაში განხორციელდება ყველა იმ სტანდარტის შესაბამისად, რაც დადგენილია „სტამბოლის პროტოკოლით“.

¹² წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

¹³ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105.

¹⁴ იქვე პარ. 122.

¹⁵ იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 29-35, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია 20.11. 2016]

¹⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანება

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის დაწესებულების თანამშრომელთა სწავლებისა და ზედამხედველობის განხორციელების გზით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი;
- ❖ უზრუნველყოს პეტიმრებისთვის სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენების შემთხვევების შესწავლა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, ასეთი დაზიანების შემთხვევების მაქსიმალურად შესამცირებლად;
- ❖ არასათანადო მოპყრობის ფაქტების პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგის განხორციელება, გაატაროს მკაცრი ზომები იმ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც არაჯეროვნად ასრულებენ საკუთარ უფლებამოსილებას არასათანადო მოპყრობის პრევენციის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევის დოკუმენტირების კუთხით;
- ❖ დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება.

3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულებაში ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს პატიმრების ურთიერთდაპირისპირების ფაქტებს. ამდენად, მნიშვნელოვანია, მოხდეს კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, კონფლიქტის შემთხვევების მაქსიმალურად შესამცირებლად და მომხდარ შემთხვევებზე განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განხორციელოს ვიზუალური ან/და

ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განხორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.¹⁷

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.¹⁸

„ევროპული ციხის წესების“ 50.1 მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4 მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5 მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების

¹⁷ პატიმრობის კოდექსი, მუხ. 54 (1)

¹⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 04.07.2016].

გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში ვიზუალური მეთვალყურეობა განხორციელდა 76 პატიმრის მიმართ, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში – 65 პატიმრის მიმართ.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება.“

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.“ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.“

არსებული პრაქტიკით, N8 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევებით მოთავსების ვადა არ აღემატება 60 დღეს, თუმცა აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის პერიოდთან შედარებით 2016 წლის პირველი 8 თვის პერიოდში თითქმის ორჯერ არის გაზრდილი პატიმართა განცალკევებით მოთავსების შემთხვევები, რაც სახალხო დამცველის მიერ უარყოფითად შეფასდა.¹⁹

მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს ადგენს, კერძოდ, „ევროპული ციხის წესების“ 50.1-ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4-ე მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“

¹⁹ 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში განცალკევებით მოთავსებული იყო 40 პატიმარი, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში – 74 პატიმარი.

50.5-ე მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“ საქმეში რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ²⁰ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით.

2015 წლის 27 აგვისტოს N117 ბრძანებით დამტკიცებული N8 პენიტენციური დაწესებულების დებულების (სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისათვის არსებული რედაქცია) მე-17 მუხლის თანახმად,

„1. თუ შიდა კლასიფიკაციის საკანში/საკანში განთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული, საფრთხეს უქმნის საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, დაწესებულების ადმინისტრაციამ იგი შეიძლება განათავსოს დაწესებულების სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24 საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის პირობებში. დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, რომლის ხედვის არე არ მოიცავს ტუალეტის ნიჟარას, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით.

2. დეესკალაციის ოთახში პირის მიმართ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფიზიკური შეზღუდვის ზომები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური საშუალებები. ფიზიკური შეზღუდვა უნდა მოხდეს გონივრული ვადით, ამ მუხლის პირველ პუნქტში მოცემული კრიტერიუმების ამოწურვამდე.

3. დეესკალაციის ოთახში პირის განთავსებისთანავე დეგება სათანადო დოკუმენტი და გონივრული შუალედებით კეთდება შესაბამისი ჩანაწერები პირის მდგომარეობის შესახებ. ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში განთავსდება განთავსების კრიტერიუმების ამოწურვამდე.

4. დეესკალაციის ოთახში მოთავსება არ არის ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისათვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული რომელიმე უფლების ავტომატურად შეზღუდვის საფუძველი.“

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულების დებულებით პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ იყო. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო, ამოიწურა თუ ისევ არსებობს პატიმრის დეესკალაციის ოთახში ყოფნის დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმები.

2016 წლის 9 აგვისტოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის N103 ბრძანებით, ცვლილება შევიდა N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და განისაზღვრა, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის

²⁰ რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ (RAMIREZ SANCHEZ v. FRANCE), 04.06.2006, 59450/00, პარ.145.

აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფრთხის არსებობისას და ამ მუხლით დადგენილი წესით პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა ის გარემოება, რომ განისაზღვრა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური ვადა - 72 საათი, თუმცა აღსანიშნავია, რომ დებულება შესაძლებლობას აძლევს დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმარი შეუზღუდავი რაოდენობით მოათავსოს დეესკალაციის ოთახში, რამაც შესაძლოა კვლავ გამოიწვიოს პატიმართა ხანგრძლივი იზოლირება.

2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ დროდ განსაზღვრული ყოფილიყო 24 საათი, რაც არ შესრულებულა.²¹ საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლოა მხოლოდ იყოს იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება და დაუშვებელია პატიმრების მოთავსება დეესკალაციის ოთახში არსებულ პირობებში ხანგრძლივი ვადით, ვინაიდან აღნიშნული შესაძლოა გაუტოლდეს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, უნდა მოხდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) ჩართვა და პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა. სპეციალურ პრევენციული ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს N3 დაწესებულების დებულებაში და უნდა განისაზღვროს დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.²²

როგორც N8 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსება ზოგ შემთხვევებში ხდებოდა საკმაოდ ხანგრძლივი ვადით, ასე მაგალითად, მსჯავრდებული მ.ნ. – 30 დღე, გ.გ. – 22 დღე, ა.გ. – 20 დღე და არაერთი პატიმრის 7-15 დღით მოთავსების შემთხვევა ფიქსირდება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში, დეესკალაციის ოთახში პატიმრების მოთავსების შემთხვევებში ხანგრძლივობა შედარებით შემცირებულია.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ვადით პატიმრების დეესკალაციის ოთახში მოთავსება, შესაძლოა გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახვ

²¹ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში, გვ. 44, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> [ბოლოს ნანახია 02.11.2016]

²² პატიმრების ხანგრძლივ იზოლირებასთან დაკავშირებით, იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ CPT/Inf (2015) პარ. 94

მოპყრობას და ზრდის ამ პატიმრების მხრიდან საკუთარი თავისთვის ან სხვა პირებისთვის საფრთხის შექმნის რისკს.²³

N8 დაწესებულებაში არის სულ 3 დეესკალაციის ოთახი, სადაც 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში პატიმრის მოთავსების 155 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში – 146 შემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულებაში დაფიქსირდა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევები, რაც ეჭვქვეშ აყენებს პატიმრის მიერ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ამ ზომის გამოყენების ეფექტურობას. 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში, დეესკალაციის ოთახში თვითდაზიანება პატიმრებმა 25 შემთხვევაში მიიყენეს. შესაბამისად, ნათელია, რომ მხოლოდ უსაფრთხო ოთახში მოთავსება ვერ იქნება ეფექტური საშუალება პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების თავიდან ასაცილებლად და იქ არსებული პატიმრობის პირობები, იზოლირებასთან ერთად შესაძლოა პატიმრის მიერ აუტო-აგრესიის მაპროვოცირებელიც კი გახდეს. ამასთან, უსაფრთხო ოთახებში არსებული გარემო და პირობები არ არის უსაფრთხო და არ არის მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სამინისტრომ მოიძია აღნიშნული პროდუქციის სხვადასხვა ქვეყნებში მწარმოებელი კომპანიები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები, ზემოხსენებული მასალის შესაძენად. საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ დეესკალაციის ოთახების სათანადოდ აღჭურვის მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარებას და იმედს იტოვებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული დეესკალაციის ოთახების სათანადოდ აღჭურვა დასრულდება მოკლე პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილების დერეფნებში (მათ შორის დეესკალაციის ოთახებთან) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათვალთვალო კამერების სისტემის სათანადო ფუნქციონირება. კამერების ხედვის არე უნდა მოიცავდეს დერეფანს სრულად, ხოლო ჩანაწერები უნდა ინახებოდეს გონივრული ვადით (სულ მცირე, 10 დღით). აღნიშნულის საჭიროება კიდევ ერთხელ დადასტურდა ზემოხსენებულ შემთხვევაში, სადაც პატიმარი მიუთითებდა, რომ დეესკალაციის საკნებთან მორიგე ცვლაში მყოფმა თანამშრომლებმა,

²³ გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევენ, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement>) [ბოლოს ნანახია: 04.07.2015].

იგი გამოიყვანეს დეესკალაციის ოთახიდან და დერეფნის იმ ნაწილში, სადაც არ არის ვიდეო მეთვალყურეობა, დაწესებულების თანამშრომლებმა მას ცემეს მუშტებით და ფეხებით.

უდავოა, გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილება იმ მომენტისათვის რომ ყოფილიყო სათვალთვალო კამერებით აღჭურვილი, შესაძლებელი გახდებოდა გამოძიებისათვის გადაძვეტი მნიშვნელობის მტკიცებულების, ვიდეო ჩანაწერის მოპოვება.

გარდა ამისა, 2014 წლის 27-28 აგვისტოს N8 დაწესებულებაში ჩატარებული შემოწმების შედეგად სახალხო დამცველმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

„უზრუნველყოს გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში არსებული დერეფნებისა სათანადო აღჭურვა სათვალთვალო კამერებით; შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა (არანაკლებ 10 დღისა) და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე.“²⁴

აღსანიშნავია, რომ მითითებული რეკომენდაციები დღემდე არ შესრულებულა. დამატებით, საგულისხმოა, რომ ასევე, არ შესრულებულა რეკომენდაცია N8 დაწესებულებაში ბრალდებულების და მსჯავრდებულების განცალკევებით მოთავსებასთან დაკავშირებით²⁵ და ხსენებული საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.²⁶

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.²⁷ თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების

²⁴ მე-8 დაწესებულებაში ვიზიტის შემდგომი ანგარიში (2014) გვ. 9.

²⁵ იქვე, გვ. 9.

²⁶ United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf> [ბოლოს ნანახია: 04.07.2015].

²⁷ იქვე, გვ. 13

წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.²⁸

რეკომენდაცია სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება
- ❖ შევიდეს შესაბამისი ცვლილება N8 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს და უზრუნველყოფილი იქნას მუსლტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობა სიტუაციის შემდგომი დეესკალაციის მიზნით;
- ❖ შეისწავლოს N8 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით;
- ❖ მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად;
- ❖ უზრუნველყოს სასჯელადსრულების N8 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება;
- ❖ უზრუნველყოს გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში არსებული დერეფნებისა სათანადო აღჭურვა სათვალთვალო კამერებით;
- ❖ შესაბამისი ბრძანებით განსაზღვროს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის მიერ განხორციელებული ჩანაწერების შენახვის გონივრული ვადა (არანაკლებ 10 დღისა) და უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების დაუბრკოლებელი დაშვება ასეთ ჩანაწერებზე;
- ❖ უზრუნველყოს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა ერთმანეთისგან განცალკევებით მოთავსება;

²⁸ UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/48abd572e.html> [ბოლოს ნანახია: 04.07.2015].

❖ უზრუნველყოს პატიმართა შორის კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება, კონფლიქტის შემთხვევების მაქსიმალურად შესამცირებლად და მომხდარ შემთხვევებზე განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

4. პატიმრობის პირობები

4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი შენობა, განსაკუთრებით კი, საძინებელი კორპუსი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემის და შეძლებისდაგვარად ასევე განმარტოების მოთხოვნებს. ასევე დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, კლიმატური პირობებისა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობის, განათების და ვენტილაციის პირობების გათვალისწინებით.²⁹ ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში, ასევე სუფთა ჰაერის მოძრაობა მოხდეს, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.³⁰

დაწესებულებაში ფუნქციონირებს პატიმართა 4 საცხოვრებელი კორპუსი. აღნიშნულ კორპუსებში არის 2,4,6,8 და 10 ადგილიანი საკნები. ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი არ შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად დადგენილ მოთხოვნებს,³¹ შესაბამისად, თითოეული პატიმარი არ არის უზრუნველყოფილი 4მ² საცხოვრებელი ფართით.

აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა, 2012 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდგომ, საქართველოს მთავრობას N8 დაწესებულებაში მრავალ ადგილიან საკნებში მოთავსებული თითოეული პატიმრის 4 კვადრატული მეტრის სიდიდის პირადი ფართით

²⁹ წესი 18.1

³⁰ წესი 18.2

³¹ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების ადკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „1 ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვ. მეტრზე ნაკლები.“

უზრუნველყოფის და ზედმეტი საწოლების გატანის რეკომენდაციით მიმართა.³² აღნიშნული მოთხოვნა ვიზიტის განხორციელების დღემდე არ შესრულებულა.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისად ფუნქციონირებს ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. ზოგ საკნებში შეინიშნება სინესტე. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა. N8 დაწესებულებაში მყოფი უვადო პატიმრების ხანგრძლივი პაემნის უფლების სარგებლობის მიზნით, წლის მანძილზე ხორციელდებოდა მათი N6 დაწესებულებაში დროებითი გადაყვანა. ხოლო რაც შეეხება ვადიან პატიმრებს, ისინი მიუხედავად კანონით³³ მინიჭებული უფლებისა, ხანგრძლივი პაემნის უფლებით ვერ სარგებლობენ.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 11 მოსაცდელი საკანი. გონივრული მიღებისა და განთავსების განყოფილებაში კი 4 მოსაცდელი საკანია, სადაც პატიმრებს თავდაპირველად ათავსებენ. მოსაცდელი საკნები ნაწილობრივ მიწის საფარს ქვეშაა მოქცეული, რის გამოც საკნებში განათება და ვენტილაცია არასაკმარისია, ხოლო სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა არაადაკმაყოფილებელი. განხორციელებული ვიზიტის დროს, მოსაცდელ საკნებში იდგა სპეციფიური სუნი და შეინიშნებოდა დიდი რაოდენობით ტარაკნები. პატიმრებს არ ქონდათ თეთრეული და მათი განმარტებით, ვერ სარგებლობდნენ დაბანის უფლებით.

დაწესებულებაში სულ 3 დეესკალაციის ოთახია. ვიზიტის დროს, აღნიშნულ ოთახებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები არ იყო ადაკმაყოფილებელი. კერძოდ, N2 ოთახში იატაკზე მიმოფანტული იყო, თმისა და ჭუჭყის გროვები, N1 და N3 ოთახებში უნიტაზიდან ჟონავდა წყალი. აღნიშნულ ოთახებში არის მხოლოდ ხელოვნური სავენტილაციო სისტემა, ოთახებში ფანჯრები არ იღება. პატიმართა განმარტებით, სამივე ოთახში, დღისითა და ღამით, მუდმივად ანთია შუქი.³⁴ ვიზიტის დროს³⁵ დეესკალაციის ოთახებში მყოფ პირებს არ ქონდათ პირადი ჰიგიენის ნივთები (კბილის ჯაგრისი, კბილის პასტა). დეესკალაციის ოთახებთან მორიგე თანამშრომლების განმარტებით, კბილის პასტას და ჯაგრისს მათივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე საკანში არ აძლევდნენ პატიმრებს, თუმცა ოთახების წინ არსებულ დერეფანში, ტუმბოში ინახავდნენ, რაც გადამოწმების შედეგად არ დადასტურდა. პატიმრებს ასევე არ ქონდათ თეთრეული, პირსახოცი და ბალიში. პატიმრები ვერ სარგებლობდნენ დაბანის, გასეირნების, სატელეფონო ზარის განხორციელების, პაემნის, მაღაზიით სარგებლობისა და კორესპონდენციის გაგზავნის უფლებით. დეესკალაციის ოთახების წინ არსებულ, იზოლირებულ დერეფანში კი არ არის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა.

N8 დაწესებულებაში სასეირნო ეზოები განთავსებულია საცხოვრებელი კორპუსების ბოლო სართულზე. სასეირნო ეზოებში არ არის რაიმე სახის ინვენტარი, სკამები და ზოგადად

³² 2012 წლის 13-23 ნოემბერს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიში, CPT/Inf (2013) 18, პარ. 33.

³³ პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლი.

³⁴ შუქის ანთება-ჩაქრობა რეგულირდება ოთახების გარედან, დაწესებულების თანამშრომელთა მიერ.

³⁵ 2015 წლის 24-26 ნოემბერი.

დამთრგუნველი გარემოა.³⁶ პატიმრებს არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა. პატიმრების გადმოცემით, ისინი ხშირად არ სარგებლობენ ჰაერზე გასეირნების უფლებით, ვინაიდან მათ სასეირნოდ გასვლას სთავაზობენ დილის 7 ან 8 საათზე.

დაწესებულების საერთო სარგებლობის საშუალებებში არსებული სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობა და ვენტილაცია არაა დამაკმაყოფილებელია. გამოსაცვლელ ოთახებში როზეტებისა და შუქის ჩამრთველების შიგთავსები გამოცლილია და აღნიშნული გაყვანილობები უსაფრთხოების წესების დარღვევითაა გაკეთებული. ხელოვნური განათება არ არის დამაკმაყოფილებელი. საშუალებებში არ არის სკამები და საკიდები პირადი ნივთების (ტანისამოსის, პირსახოცის და სხვა) მოსათავსებლად. საშუალებებში ზოგიერთ შხაპს არ აქვს წყლის მოსაშვები/ჩამკეტი მექანიზმი. საშუალებებში კედლები და ჭერი შელახულია, საჭიროებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.

საგამოძიებო ოთახები განთავსებულია დაწესებულების ადმინისტრაციული კორპუსის ორ სართულზე. სულ 37 საგამოძიებო ოთახია, აქედან სათვალთვალ კამერა დამონტაჟებულია 36 საგამოძიებო ოთახში. დარჩენილ ერთ ოთახში სათვალთვალ კამერა არ არის, აქ ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესაუბრებიან პატიმრებს. საგამოძიებო ოთახებში გათბობის სიტემა არ არსებობს. ოთახებს არ გააჩნია ფანჯარა, არც ცენტრალური სავენტილაციო სისტემა. ოთახებში დამონტაჟებულია კონდიციონერები, რაც მეორე სართულზე არსებულ ოთახებში შეფერხებით, ზოგჯერ კი საერთოდ არ ფუნქციონირებს. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული პრობლემა N8 დაწესებულებაში მისი გახსნის დღიდან დგას.

2014 წლის 27-28 ნოემბერს N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ სახალხო დამცველმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს: N8 დაწესებულებაში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყონ 4 კვადრატული მეტრის ფართობით; დაწესებულების საცხოვრებელი საკნებიდან გაიტანონ ზედმეტი საწოლები; დაწესებულებაში უზრუნველყონ სათანადო ვენტილაცია; საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟეს გათბობის სისტემა და შეკეთდეს არსებული კონდიციონერები, საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდეს ცენტრალური სავენტილაციო სისტემა; ბოლო სართულზე არსებულ საკნებში წყლის ჩადინების თავიდან ასაცილებლად შეკეთდეს N8 დაწესებულების სარეჟიმო კორპუსების სახურავები; პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს; დაწესებულების ტერიტორიაზე, მიწის ზედაპირის დონეზე მოეწყოს სასეირნო ეზო; სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება; გარემონტდეს საშხაპე ოთახები და აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით.

ზემოთ მოცემული რეკომენდაციების შესახებ უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს დაწესებულების საგამოძიებო ოთახებში დამონტაჟდა კონდიციონერები, თუ

³⁶ სასეირნო ეზოებთან დაკავშირებული პრობლემები აღნიშნულია წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2010 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში, პას. 81, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<http://www.cpt.coe.int/documents/geo/2010-27-inf-eng.htm>

გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ოთახებს არ აქვს ფანჯრები და შეუძლებელია სხვა საშუალებით ჰაერის გაწმენდა, საჭიროა სათანადო ხელოვნური სავენტილაციო სისტემით უზრუნველყოფა. რაც შეეხება დანარჩენ რეკომენდაციებს, ისინი დღემდე შეუსრულებელია.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად
- ❖ დაწესებულებაში მყოფი თითოეული პატიმარი უზრუნველყონ 4 კვადრატული მეტრის ფართობით
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში და საშხაპეებში სათანადო ვენტილაციის უზრუნველსაყოფად
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დეესკალაციისა და მოსაცდელ საკნებში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასირნო ეზოების მიწის ზედაპირის დონეზე მოწყობის უზრუნველსაყოფად. სასირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით დღის განრიგით გათვალისწინებულ დროს
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების დეესკალაციის ოთახებთან არსებულ დერეფანში ელექტრონული სამეთვალყურეო სისტემის დასამონტაჟებლად
- ❖ გარემონტდეს საშხაპე ოთახები და აღიჭურვოს სათანადო ინვენტარით.

4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა.³⁷ ამისათვის დაწესებულებამ და სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელითი, მორალური, სულიერი, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები. აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.³⁸

³⁷ წესი 4.1

³⁸ იხ. იქვე წესი 4.2

ევროპული ციხის წესების თანახმად, დასვენების საშუალებები, მათ შორის სპორტი, თამაშები, კულტურული ღონისძიებები, ჰობი და თავისუფალი დროის გატარების სხვა ხერხები, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და პატიმრებს შეძლებისდაგვარად მიეცეთ მათი ორგანიზების შესაძლებლობა.³⁹ ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.⁴⁰ განათლების სისტემატიური პროგრამები უნარჩვევების ტრენინგების ჩათვლით, პატიმართა საერთო განათლების გაღრმავებისა და პატიმრების წახალისებისათვის დანაშაულის გარეშე ცხოვრების თაობაზე უნდა იყოს რეჟიმების ძირითადი ნაწილი.⁴¹

ციხის ევროპული წესების თანახმად, ყოველ პატიმარს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ყოველდღიურად მინიმუმ ერთი საათი მაინც ივარჯიშოს სუფთა ჰაერზე, თუ ამინდი იძლევა ამის საშუალებას.⁴² ავდრის პირობებში პატიმრებს ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა მიეცეთ სავარჯიშოდ.⁴³

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 106-ე ბრძანების თანახმად, N8 დაწესებულება არის პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება. საყურადღებოა, რომ ამ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში და მათი გასეირნება 1 საათით სასეირნო ეზოებში ხდება. სასეირნო ფართი შემოსაზღვრულია ბეტონის კედლებით და გადახურულია მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო მზის სხივები და სუფთა ჰაერი იქ სათანადოდ ვერ აღწევს. პატიმრებს სასეირნო ეზოებში სავარჯიშო ინვენტარის არ არსებობის გამო არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მძიმედ აისახოს მათ ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებაში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები და ამასთანავე გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა.

დაწესებულებიდან მიღებული დღის განრიგის თანახმად,⁴⁴ N8 დაწესებულების დღის განრიგის თანახმად, 10 საათიდან 13 საათამდე დროის პერიოდი განკუთვნილია პატიმართა გასეირნებისთვის, თუმცა მათი გადმოცემით, ისინი უმეტესად არ სარგებლობენ ჰაერზე გასეირნების უფლებით, ვინაიდან სასეირნოდ გასვლას დილის 7 ან 8 საათზე სთავაზობენ.

³⁹ წესი 27.6

⁴⁰ იხ. იქვე წესი 28.1

⁴¹ იხ. იქვე წესი 106.1

⁴² წესი 27.1

⁴³ იხილეთ იქვე, წესი 27.2

⁴⁴ 2016 წლის 20 იანვარს, სახალხო დამცველის აპარატში შემოსული N663/16 წერილის თანახმად.

2015 წლის მანძილზე, დაწესებულებაში განხორციელდა სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობები. დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

N	სასწავლო კურსები/პროგრამები	ხანგრძლივობა	მონაწილე პატიმართა რაოდენობა
1	კომპიუტერული პროგრამების სასწავლო კურსი	3 თვე	61
		3 თვე	10
2	კომპიუტერული გრაფიკა	3 თვე	10
3	ქართული ენის შემსწავლელი კურსი	3 თვე	8
4	ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	3 თვე	25
		4 თვე	6
5	მცირე ბიზნესის მეწარმეობა	4 თვე	27
6	მართვის მოწმობის თეორიული კურსი	2 თვე	6
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია			
7	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ცხოვრების ჯანსაღი წესი“	1 თვე	19
		4 დღე	18
8	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „სტრესის მენეჯმენტი“	4 დღე	18
9	ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო პროგრამა „ბრაზის მართვა“	2 თვე	8
სპორტული აქტივობა			
10	ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში	1 კვირა	22
		1 დღე	10
		1 კვირა	19
11	ტურნირი ჭადრაკში	2 დღე	7
		1 დღე	12
საინფორმაციო შეხვედრები და სხვა			
12	საინფორმაციო შეხვედრა ტუბერკულოზის შესახებ	1 დღე	10
13	საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგის შესახებ	1 დღე	24
14	„ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების, საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების მიმართულებით“	მიმდინარე	30
15	პოეზიის საღამო	1 დღე	10
16	ლიტერატურული ღონისძიება	1 დღე	15
17	დისკუსია	1 დღე	10
18	ლექცია თემაზე „ტაო-კლარჯეთის ხელნაწერები“	1 დღე	12
19	დანაშაულის პრევენციის ცენტრის საინფორმაციო შეხვედრა	1 დღე	26

20	ხელნაკეთი ნივთების გამოფენა	1 დღე	4
----	-----------------------------	-------	---

გარდა ცხრილში არსებული მონაცემებისა, 2015 წლის მარტში, მაისში, ივნისში, სექტემბერსა და ოქტომბერში დაწესებულებაში ჩატარდა თითო მხატვრული ფილმის ჩვენება, ხოლო არასრულწლოვანთა განყოფილებაში მყოფი არასრულწლოვანი პატიმრები წლის მანძილზე იღებდნენ ზოგად განათლებას. მიუხედავად ცხრილში მოცემული აქტივობებისა, გამოკითხულ პატიმართა უმრავლესობა უჩიოდა დაწესებულებაში სარეაბილიტაციო აქტივობების სიმწირეს.

ქართული ენის არმცოდნე, უცხოენოვანი პატიმრების გადმოცემით, ენის ბარიერის გამო, მათ უჭირთ დაწესებულების თანამშრომლებთან კომუნიკაცია, რასაც ისევ თავიანთი თანამესაკნეების დახმარებით ახერხებენ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს, აღმოჩნდა, რომ ისინი საერთოდ არ იყვნენ ინფორმირებული სარეაბილიტაციო პროგრამებით სარგებლობის უფლების შესახებ.

2015 წლის ბოლო 8 თვისა და 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე N8 დაწესებულებაში განხორციელებული სარეაბილიტაციო აქტივობებისა და მათში პატიმართა ჩართულობის შესახებ ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ.

სასწავლო კურსები/პროგრამები	მონაწილეთა რაოდენობა	
	2015 წლის ბოლო 8 თვე	2016 წლის პირველი 8 თვე
ქართული ენის შემსწავლელი კურსი	8	14
ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი	38	22
მართვის მოწმობის თეორიული კურსი	6	26
მცირე ბიზნესის მწარმოებელი	27	-
კომპიუტერული საოფისე პროგრამები	10	19
კომპიუტერული გრაფიკა	10	7
ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია		
„ცხოვრების ჯანსაღი წესი“	18	-
სტრესის მენეჯმენტი	18	-
დანაშაულის პრევენციის ცენტრის შეხვედრა	15	-
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა უფლებები	30	40
ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა	24	-

ბრაზის მართვა	8	8
ბიბლიოთერაპია	-	9
რა? სად? როდის?	-	12
ტუბერკულოზი	10	-
სპორტული/კულტურული ღონისძიებები		
ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში	26	8
ჭადრაკის ტურნირი	17	-
მკლავჭიდის ტურნირი	-	18
ძალოსნობის ტურნირი სიმძიმეების აწევაში	-	14
შაშის ტურნირი	-	44
შეხვედრა საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებთან	10	-
ლექცია თემაზე ტაო-კლარჯეთის ხელნაწერები	12	-
სალექციო კურსი-ბიოგრაფია	20	-
ლიტერატურული ღონისძიება	15	-
პოეზიის საღამო	-	10
ჩართულ პატიმართა საერთო რაოდენობა	322	251

გარდა ცხრილში არსებული აქტივობებისა, მითითებულ პერიოდებში, როგორც სრულწლოვანი, ასევე არასრულწლოვანი პატიმრებისთვის ჩატარდა არაერთი მხატვრული ფილმების ჩვენება.

2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე წინა პერიოდთან⁴⁵ შედარებით დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთა საშუალო რაოდენობა უმნიშვნელოდ გაიზარდა (2015 წლის პირველი 8 თვის მანძილზე იყო საშუალოდ 1 508 პატიმარი, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე 1 539), თუმცა ამავდროულად სამწუხაროდ შემცირდა სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართულ მსჯავრდებულთა რაოდენობა (71-ით).

⁴⁵ 2015 წლის ბოლო 8 თვე იგულისხმება

იმ ფონზე, რომ N8 დაწესებულებაში 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე საშუალოდ 1 539 მსჯავრდებული იხდის სასჯელს, ზემოთ მოცემული აქტივობები და მათში მსჯავრდებულთა ჩართულობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად იქნას მიჩნეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ყველა პატიმარს, სულ მცირე, საკანში მიეცეთ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე მათთვის საინტერესო თავშესაქცევი, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა აქტივობებით. ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს გარკვეულ ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში დამატებით მოხდეს პატიმრის გაყვანა სასაფლაო ეზოში, სადაც ის შეძლებს ვარჯიშს ინდივიდუალურად. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასაფლაო ეზოში ელემენტარული სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N8 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა ნახევარზე მეტს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

N8 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის განახლება ხდება პერიოდულად. 2016 წლის მანძილზე ბიბლიოთეკა 4-ჯერ განახლა, ბოლოს, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში. დაწესებულების ბიბლიოთეკაში წიგნები ხელმისაწვდომია რუსულ, პოლონურ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ, ირანულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და უკრაინულ ენებზე. ბიბლიოთეკა პერიოდულად მარაგდება შემდეგი ჟურნალ-გაზეთებით: „რეგიონ-პრესი“ და „გურჯისტანი“ აზერბაიჯანულ ენებზე; „ვრასტანი“-სომხურ ენაზე და „საპატრიარქოს უწყებანი“.

მსჯავრდებულთა დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელალსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“⁴⁶ „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“⁴⁷ „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“⁴⁸

N8 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 117 მსჯავრდებული. მსჯავრდებულებს უწევდათ ისეთი სამუშაოების შესრულება, როგორცაა ამანათის მიტანა, საკვების პატიმრებისთვის დარიგება, რეცხვა, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული

⁴⁶ ციხის ევროპული წესები. წესი 26.1

⁴⁷ იქვე, 26.2-ე წესი

⁴⁸ ციხის ევროპული წესები. წესი 26.3

მაღაზიიდან საკვები პროდუქტებისა და დამატებითი მოხმარების საგნების მიწოდება და დალაგება-დასუფთავება. დასაქმებულ მსჯავრდებულებს შესრულებული სამუშაოსთვის ეძლეოდათ ანაზღაურება-ხელფასის სახით, რომლის ოდენობა განისაზღვრება მათი პოზიციის შესაბამისად. ჯგუფის უფროსის ხელზე ასაღები თანხაა-200, უფროსის მოადგილის-180, ხოლო მომსახურე პერსონალის 160 ლარი.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.⁴⁹ დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე. აღნიშნული კი შრომის კოდექსის მე-6 მუხლშია⁵⁰ გაწერილი და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებელი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა მუშა მსჯავრდებულებს დაწესებულებაში სხვადასხვა ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მისთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, უწევს შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში მუშაობა. შესაბამისად, აუცილებელია, ყველა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულს მისი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში გაიწეროს, კონკრეტულად რა საქმის შესასრულებლად ხდება მათი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო. აღნიშნული ჟურნალის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგინდეს, თუ რამდენ საათს მუშაობს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული თითოეული მსჯავრდებული, ასრულებენ თუ არა ისინი ზეგანაკვეთურ სამუშაოს და როგორ ანაზღაურდება ზეგანაკვეთური მუშაობა.

2014 წლის 27-28 ნოემბერს N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ სახალხო დამცველმა შემდეგი რეკომენდაციებით მიმართა ამავე დაწესებულების დირექტორსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს: მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების

⁴⁹ „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 4.

⁵⁰ მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები;⁵¹ პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით; მიიღოს ყველა საჭირო ზომა N8 დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში გაძლიერდეს სარეაბილიტაციო აქტივობები. 2015 წლის 24-26 დეკემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ზემოთ მოცემული არც ერთი რეკომენდაცია.

რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა პატიმრის ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით
- ❖ N8 დაწესებულებაში ეზო იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყოს სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა. სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება
- ❖ მიიღოს ყველა ზომა დაწესებულებაში სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად და რეგულარულად გაიმართოს მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას გაითვალისწინოს პატიმართა ინტერესის სფეროები. უზრუნველყოფილ იქნას შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება
- ❖ პატიმრები, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულ ენაზე, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნან თარჯიმნის მომსახურებით
- ❖ სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა
- ❖ შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო, ასევე განხილულ იქნეს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საკითხი

5. სამედიცინო მომსახურება

ჯანმრთელობის უფლება არის ინკლუზიური უფლება⁵² და თავის თავში მოიცავს უსაფრთხო სასმელ წყალს და ადეკვატურ სანიტარიულ პირობებს, უვნებელ სურსათს, ადეკვატურ კვებას და

⁵¹ რეკომენდაცია დაწესებულების დირექტორს

⁵² Right to Health, Fact Sheet No. 31, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights and World Health Organization, available at <http://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf> [last visit on 02.12.2016]

საცხოვრებელ პირობებს, ჯანსაღ სამუშაო და გარემო პირობებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებას და ინფორმაციას, გენდერულ თანასწორობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება ადკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.⁵³

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N8 დაწესებულებაში 2015 წლის 24-26 ნოემბერს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა სამედიცინო მომსახურების საკითხები. მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოიკითხნენ პატიმრები და პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პერსონალი, ასევე შემოწმდა პჯდ (პირველადი ჯანმრთელობის დაცვა) ოთახებში⁵⁴ არსებული მდგომარეობა და სამედიცინო დოკუმენტაცია. ასევე, 2016 წლის 8 სექტემბერს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 03-3/10477 წერილით N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან გამოთხოვილი იქნა 2016 წლის პირველი 8 თვის სტატისტიკური ინფორმაცია.

N8 დაწესებულებაში საექიმო-სამედიცინო პუნქტი როგორც დამოუკიდებელი, კომპაქტურად განთავსებული ერთეული, არ არსებობს. მთავარი ექიმის კაბინეტი განთავსებულია ადმინისტრაციულ კორპუსში მე-2 სართულზე, ხოლო 9 პჯდ-ს გუნდი პაციენტთა სამედიცინო მომსახურებას საცხოვრებელი კორპუსების თითოეულ სართულზე გამოყოფილ პჯდ ოთახში აწარმოებს.

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დეკემბრის თვეში N8 დაწესებულებაში პაციენტთა სადღეღამისო მომსახურებას 74 სამედიცინო მუშაკი აწარმოებდა, ამათგან 29 ექიმი (1-მთავარი ექიმი, 1- მთავარი ექიმის მოადგილე, 11 - პჯდ ექიმი, 9 - მორიგე ექიმი, 4 - მორიგე ქირურგი, 1- ფსიქიატრი, 2 - სტომატოლოგი), 43 ექთანი (5 - დღის ექთანი, 11 - პჯდ ექთანი, 26 - მორიგე ექთანი, 1-ქირურგის ექთანი), 1 ადმინისტრაციის ასისტენტი და 1 წამლის სამარაგოს პასუხისმგებელი პირი. საჭიროების შემთხვევაში პატიმრებს ემსახურებიან სხვადასხვა დარგის ექიმ-სპეციალისტები.სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 2453 პატიმარი. პატიმრების ექიმებთან და ექთნებთან თანაფარდობით 1 ექიმი ემსახურება საშუალოდ 90 პატიმარს, ხოლო 1 ექთანი საშუალოდ 57 პატიმარს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანაფარდობის დროს არ არის გათვალისწინებული ექიმების მორიგეობის გრაფიკი. 2016 წლის 7 დეკემბერს სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული MOC31600966804 პასუხის თანახმად, N8 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის რაოდენობა არ შეცვლილა.

⁵³ Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.

⁵⁴

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი⁵⁵ მიუთითებს, რომ ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პაციენტებისთვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N8 დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობასა და დაგვიანებულ სამედიცინო მომსახურებაზე.

ვიზიტის მიმდინარეობისას სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ შემოწმებული იქნა სამედიცინო დოკუმენტაცია და დადგინდა, რომ დაწესებულებაში კონსულტაციაზე პაციენტთა ჩაწერა ფიქსირდება კონსულტაციის აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ჩაწერის თარიღები არსად არის მითითებული და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენი ხანი უწევს ლოდინი კონსულტაციაზე ჩაწერილ პაციენტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსულტაციების აღრიცხვის ჟურნალი არ არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმა, რომლის წარმოებაც, დადგენილი წესის შესაბამისად, ყველა დაწესებულებას მოეთხოვება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი, სპეციალური ფორმის დამტკიცება, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი და დრო, ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება, რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოების რეკომენდაციით სახალხო დამცველმა 2014 წელს N8 დაწესებულების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული პრობლემა არ მოგვარებულა.

2015 წელს N8 დაწესებულებაში სულ ჩატარდა 3,491 კონსულტაცია სხვადასხვა ექიმ სპეციალისტთა მიერ. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის წლის პირველი 8 თვის განმავლობაში სხვადასხვა ექიმ-სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირებულია 2015 წლის ბოლო რვა თვის განმავლობაში ჩატარებულ კონსულტაციებთან შედარებით.⁵⁶

N8 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს ბრალდებულის/მსჯავრდებულის გეგმიური წესით სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში ან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გაყვანის საკითხი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ბრალდებულები/მსჯავრდებულები აცხადებენ, რომ ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას.

⁵⁵ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარ. 34, გვ. 61.

⁵⁶ 2015 წლის ბოლო 8 თვის განმავლობაში ექიმ-სპეციალისტები მიერ ჩატარებული იქნა 2958 კონსულტაცია, 2016 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში კი ჩატარებული იქნა 2688 კონსულტაცია.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის განმავლობაში N8 დაწესებულებიდან სულ 1154 რეფერალი განხორციელდა, აქედან, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში - 695, ხოლო სამოქალაქო სექტორის სამკურნალო დაწესებულებაში - 459. 2016 წლის 12 დეკემბერს N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან მიღებული MOC61600990828 პასუხის თანახმად, 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში 676 რეფერალი განხორციელდა, ამათგან სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში - 322, ხოლო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში - 354.

N8 დაწესებულებაში 2015 წელს საშუალოდ ერთი თვის განმავლობაში მოთავსებული იყო 2579 პატიმარი და საშუალოდ 96 რეფერალი ხორციელდებოდა. 2016 წელს პირველი 8 თვის განმავლობაში კი საშუალოდ მოთავსებული იყო 2421 პატიმარი და საშუალოდ 85 რეფერალი ხორციელდებოდა. აღსანიშნავია, რომ პატიმართა რაოდენობის შემცირების პროპორციულად შემცირებულია რეფერალის რაოდენობაც.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს შესწავლილი იქნა სამედიცინო რეფერალის საკითხი და დაგინდა, რომ ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მთავარი ექიმი უმეტეს შემთხვევებში დროულად გზავნის სამედიცინო რეფერალის ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნას, თუმცა სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურებას, რიგ შემთხვევებში, სჭირდება 1 თვიდან 6 თვემდე. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის 22 აპრილს დამტკიცებულ №31 ბრძანების მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდი გეგმურ მომსახურებაზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრება გონივრული ვადით, რაც, გეგმურ სტაციონარულ მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე - 1 თვეს. აღნიშნული პროცედურების გათვალისწინებით, ბრალდებულს/მსჯავრდებულს ხშირად რამდენიმე თვე უწევს სამედიცინო მომსახურების მისაღებად ლოდინი. ამ პერიოდში კი შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდეს. ასე მაგალითად:

- მსჯავრდებულ ი.კ.-ს ოფთალმოლოგის კონსულტაცია 2015 წლის 8 მარტს ჩაუტარდა, მთავარი ექიმის მიერ ამავე წლის 16 მარტს გაიგზავნა მოთხოვნა სამედიცინო დეპარტამენტში, სამედიცინო დეპარტამენტმა კი 6 თვის შემდეგ, 2015 წლის 18 სექტემბერს დაადასტურა მოთხოვნა. პატიმარი 21 სექტემბერს გაიყვანეს;
- მსჯავრდებულ ზ.კ.-ს კონსულტაცია ჩაუტარდა 2014 წლის 15 ოქტომბერს, მოთხოვნა სამედიცინო დეპარტამენტში გაიგზავნა 14 ნოემბერს, სამედიცინო დეპარტამენტმა მოთხოვნა დაადასტურა 26 დეკემბერს, ხოლო მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების მიზნით პატიმარი სამოქალაქო კლინიკაში 2015 წლის აგვისტოში გაიყვანეს (კონსულტაციიდან 1 წელიწადში);
- მსჯავრდებულ გ.მ.-ს 12 თებერვალს ჩაუტარდა უროლოგის კონსულტაცია და დაუდგინდა ჰიდროცელეს სასწრაფო ოპერაციული მკურნალობა, რაზეც მოთხოვნა

სამედიცინო დეპარტამენტში 18 თებერვალს გაიგზავნა, სამედიცინო დეპარტამენტმა იმავე დღესვე დაადასტურა მოთხოვნა, ხოლო პატიმარი საოპერაციოდ 23 მარტს გაიყვანეს;

გარდა ზემოაღნიშნულისა პრობლემას წარმოადგენს პაციენტის ორ სხვადასხვა ნოზოლოგიაზე დარეგისტრირება. ამგვარი პრაქტიკის გამო უფრო მეტად აქტუალური პათოლოგიის მკურნალობა ან გამოკვლევა, შესაძლოა დროში ძალზე გახანგრძლივდეს. ასე მაგალითად:

- პაციენტი თ.ჯ. ჩაწერილია კლინიკაში ოპერაციაზე ცხვირის ნიჟარების დეზინტეგრაციისათვის. იმავე პაციენტს აქვს ხერხემლის პათოლოგია და ამის გამო აქვს ქვედა კიდურების ფუნქციური პრობლემები. პაციენტის ოჯახის მიერ შეყვანილმა ექიმმა ნევროლოგმა საჭიროდ ჩათვალა ხერხემლის CT-ს გაკეთება. რადგან პაციენტი უკვე დარეგისტრირებულია ცხვირის ოპერაციაზე გასაყვანად, ვერ ხერხდება მისთვის კომპიუტერული ტომოგრაფიის გაკეთება;
- პაციენტი გ.წ.-ს აწუხებს მარჯვენა მუხლის სახსარი და ტრავმატოლოგ-ორთოპედის მიერ დაუდგინდა დიაგნოზი - III ხარისხის გონართროზი. პაციენტს აქვს ტკივილები, მაგრამ ვერ ხერხდება მისი გაყვანა სპეციალიზირებულ კლინიკაში სამკურნალო ინექციების გასაკეთებლად მუხლის სახსარში, ვინაიდან იგი უკვე დარეგისტრირებულია ცხვირის ოპერაციაზე გასაყვანად;

N8 დაწესებულებაში კვლავ პრობლემას წარმოადგენს სტომატოლოგიური მომსახურების მიღების საკითხი, კერძოდ, დაწესებულებას ემსახურება 2 სტომატოლოგი⁵⁷, რომელთა კაბინეტები მდებარეობს დაწესებულების I და III კორპუსებზე. სხვა კორპუსიდან გადაყვანის შემთხვევაში ხდება პატიმრის დაყოვნება, რაც აფერხებს მისთვის სათანადო სტომატოლოგიური მომსახურების მიღებას. გარდა აღნიშნულისა N8 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სტომატოლოგთან კონსულტაციაზე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს წერენ მორიგე ოფიცრები, რომელთაც არ გააჩნიათ სამედიცინო განათლება და კვალიფიკაცია.

N8 დაწესებულებაში ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმართა იზოლაციისა და მკურნალობისათვის პირველი კორპუსის მე-3 სართულზე იზოლირებულად განთავსებულია 9 საკანი (36 პატიმარზე). სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის დეკემბერში დაწესებულებაში იმყოფებოდა 4 ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი (3 - MDR და 1-SEN. BK (-)).

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის დეკემბერში N8 დაწესებულებაში ქრონიკული C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტივირუსული მკურნალობის კურსში ჩართული იყო 20 პაციენტი, რომელთაგან 18 მკურნალობდა სოფობუვირით, ხოლო 2 ინტერფერონის ინექციებით. 2016 წლის 12 დეკემბერს N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან

⁵⁷ სტომატოლოგთა რაოდენობა

მიღებული MOC61600990828 პასუხის თანახმად, C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტივირუსული მკურნალობის კურსში ჩართული იყო 88 პაციენტი.

პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობა. ფსიქიატრისადმი მიმართვიანობა საკმაოდ მაღალია. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ ფსიქიატრის მიერ ჩატარებულ კონსულტაციათა რაოდენობა N8 დაწესებულებაში ყოველთვიურად 70-255 პაციენტამდე მერყეობს. ფსიქიატრის მომსახურების მხრივ გარკვეული შეფერხება იყო იანვრის თვეში, რის გამოც მხოლოდ 70 პაციენტის კონსულტირება მოხერხდა. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კონსულტაციაზე ჩაწერილ პაციენტთა სიას ფსიქიატრს პირველადი ჯანდაცვის ექიმები გადასცემენ. დაწესებულებაში არსებული არაჯანსაღი დამორგუნველი გარემოს გათვალისწინებით, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი ფსიქიატრის ხელმისაწვდომობა, რათა მოხდეს ფსიქიკური პრობლემების დროული იდენტიფიცირება და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროული მიწოდება. 2016 წლის 12 დეკემბერს N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან მიღებული MOC61600990828 პასუხის თანახმად, დაწესებულებაში არის 1 ფსიქიატრი, რომელიც ყოველდღიურად იმყოფება დაწესებულებაში. 2016 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში 2780 პაციენტს ჩაუტარდა ფსიქიატრის კონსულტაცია.

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის დეკემბერში N8 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალისა და ექიმ-ფსიქიატრის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 79 პაციენტი, რომელთაგან 16-ს გამოკვლევები და მკურნალობა ჩაუტარდა "აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში", ხოლო 33 პაციენტს გამოკვლევა ჩაუტარდა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ბიუროში. რაც შეეხება 2016 წელს, 2016 წლის 12 დეკემბერს N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან მიღებული MOC61600990828 პასუხის თანახმად, 2016 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობისთვის გაყვანილი იქნა 32 პაციენტი. სამედიცინო დეპარტამენტიდან 2016 წლის 7 დეკემბერს მიღებული MOC31600966804 პასუხის თანახმად, N8 დაწესებულებიდან 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით "აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" გაყვანილი იქნა 7 მსჯავრდებული, რომელთა მკურნალობა 2016 წლის დეკემბრის თვისთვის გრძელდებოდა.

2015 წელს N8 დაწესებულებაში სუიციდის მცდელობის 18 შემთხვევა დაფიქსირდა, რომლიდანაც 1 დასრულდა პაციენტის გარდაცვალებით. სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამ პაციენტებიდან არც ერთი არ იყო ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ N8 დაწესებულებაში მოქმედებს აღნიშნული პროგრამა სუიციდის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები არასაკმარისია. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც გაიწერა პროგრამის მიზნები და ამოცანები. მის განხორციელებაზე ზედამხედველად განისაზღვრა პროგრამის საბჭო. სუიციდის რისკის

შეფასების, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავების და აღნიშნული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლად განისაზღვრა დაწესებულებების მულტიდისციპლინური გუნდები. ამავე დოკუმენტით განისაზღვრა პატიმრების პროგრამაში ჩართვის და მულტიდისციპლინური დახმარების შეჩერება/შეწყვეტის პროცედურები. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებაში გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული მუშაობა.

დ.თ. შემთხვევა

პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში 2015 წლის 7 ივლისს, დაახლოებით 15 საათსა და 45 წუთზე მსჯავრდებულთან საკანში გამოძახებული იყო ექიმი. ამ დროისათვის პაციენტი გამოჰყავდათ საპირფარეოდან უგონო მდგომარეობაში. პაციენტს ყელზე აღენიშნებოდა სტრანგულაციური ღარი. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მიღებული N003957615 დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულ დ.თ.-ს გარდაცვალების მიზეზია მექანიკური (სტრანგულაციური) ასფიქსია, განვითარებული კისრის ორგანოებზე მარყუჯით ზეწოლის შედეგად. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, 2015 წლის 4 აპრილს მსჯავრდებული გასინჯა ექიმმა და აღნიშნა, რომ პაციენტი უჩიოდა გულის ფრიალს, შფოთვის, მოუსვენრობას. დაესვა დიაგნოზი: ნევროტულობა. დაენიშნა ვალერიანის აბები და კორვალოლი. მიეცა რჩევა-დარიგებები ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ და დაუწესდა მონიტორინგი ექთნის მიერ. შემდგომში ჩატარებული კონსულტაციების და გამოკვლევების დროს დაუდგინდა ნაღველ-კენჭოვანი დაავადება. დაენიშნა დროტავერინი და ქირურგის კონსულტაცია, ასევე, სკრინინგი „C“ და „B“ ჰეპატიტის მარკერებზე და შიდსზე. პაციენტს მიეცა ოპერაციული ჩარევის რეკომენდაცია, რაზეც მან უარი განაცხადა. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის 4 აპრილს ჩატარებული კონსულტაციის დროს მსჯავრდებული მიუთითებდა შფოთვისა და მოუსვენრობაზე, იგი არ მოუხსნებოდა არც ნევროპათოლოგს, არც ფსიქიატრს. აღსანიშნავია, რომ გარდაცვლილი მსჯავრდებული არ იყო სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში შემცირდა სუიციდის მცდელობათა რაოდენობა.⁵⁸ თუმცა ამათგან 2 შემთხვევაში პატიმარი გარდაიცვალა. 2016 წლის 12 დეკემბერს N8 დაწესებულების მთავარი ექიმისგან მიღებული MOC61600990828 პასუხის თანახმად, იმ პატიმართაგან რომელთაც სუიციდის მცდელობა ჰქონდათ მხოლოდ 1 იქნა ჩართული სუიციდის პრევენციის პროგრამაში. აუცილებელია, რომ სუიციდისკენ მიდრეკილი ყველა პატიმარი ჩართული იქნას სუიციდის პრევენციის პროგრამაში.

N8 დაწესებულებაში ფუნქციონირებს წამლების სამარაგო, როგორც ავტორიზებული აფთიაქი და აქვს მზა წამლების, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული (გარდა ნარკოტიკული საშუალებებისა) სამკურნალო საშუალებების გაცემის უფლება. აფთიაქი განთავსებულია N8 დაწესებულების A კორპუსის მე-2 სართულზე, შესასვლელი რკინის კარით.

⁵⁸ 2016 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით 5 სუიციდის მცდელობა იყო.

აფთიაქისთვის გამოყოფილ ფართში განთავსებულია მხოლოდ წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირი. აფთიაქი შედგება 2 ოთახისაგან, ერთმანეთში გამავალი რკინის კარით.

წამლის სამარაგოს კედლები და იატაკი მოპირკეთებულია იმგვარად, რომ შეუძლებელია სველი წესით დამუშავება, რის გამოც დაცული არ არის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბერის N575 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - აფთიაქის (სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტის) და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტის სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობების“ პირველი მუხლით აფთიაქისათვის განსაზღვრული სანიტარიულ-ჰიგიენურ/ტექნიკური პირობები.

სამარაგო ოთახში მედიკამენტები განლაგებულია სპეციალურად წამლებისათვის განკუთვნილ თაროებზე. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული მედიკამენტები ინახება რკინის სეიფში, ხოლო მედიკამენტები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ტემპერატურულ რეჟიმში შენახვას, ინახება მაცივარში.

წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირის ინფორმაციით, დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ყოველი კალენდარული თვის ბოლოსთვის, სამარაგოს უფროსი ადგენს გამოსაწერი მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალის ნუსხას, რომელსაც უგზავნის სამედიცინო დეპარტამენტს. გამოწერილი მედიკამენტები მიეწოდება დაწესებულების სამარაგოს მომდევნო თვის 10 რიცხვისათვის და ამგვარად ხდება ამოწურული მედიკამენტების და სხვა სამედიცინო მასალის მარაგის შევსება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების ბრალდებულები/მსჯავრდებულები მიუთითებდნენ დაწესებულებაში მედიკამენტების ნაკლებობაზე, მათ შორის ტკივილგამაყუჩებლების და გაციების წამლების ნაკლებობაზე. წამლების სამარაგოს 2015 წლის ნოემბრის ანგარიშის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ანგარიშში მითითებული 383 დასახელების მედიკამენტისა და სამედიცინო მასალის მთლიანი ნუსხიდან, მონიტორინგის ჩატარების პერიოდისათვის (24-26 ნოემბერი), დაწესებულების წამლების სამარაგოში უკვე ამოწურული იყო 154 დასახელების მედიკამენტი. შესაბამისად, ნოემბრის თვის ორი კვირის განმავლობაში უკვე ამოწურული იყო მედიკამენტების 40%. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამოწურული 154 დასახელების მედიკამენტიდან და სამედიცინო მასალიდან, შემდგომი თვისათვის გამოწერილ მედიკამენტთა ჩამონათვალში არ ფიგურირებს 102 დასახელების ერთეული. მედიკამენტების სიმცირე მიუთითებს, რომ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის სათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც დროულ და ადეკვატურ მედიკამენტურ მკურნალობასაც მოიცავს, ხელმიუწვდომელია.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ავერსის აფთიაქი, სადაც დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს მედიკამენტებთან ერთად ჰიგიენის საშუალებების შეძენა შეუძლიათ.

6. კვება

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.⁵⁹ პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში დადგენილია ერთი ძირითადი და სამი სახის დიეტური მენიუ. ასევე ცალკე არის შედგენილი მენიუ არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის. დიეტური მენიუ გათვალისწინებულია ღვიძლით, ტუბერკულოზით და დიაბეტით დაავადებული პატიმრებისათვის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებულები/მსჯავრდებულები მიუთითებდნენ, რომ ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული საკვები საჭმელად ვარგისი არ არის, ამასთან მიუთითებდნენ საკვების სიმცირეზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2016 წლის 6 მაისს სახალხო დამცველის აპარატიდან N03-1/4437 წერილი გაიგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება. 2016 წლის 25 მაისს სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად, 2015 წლის 21 აგვისტოს პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულების სასადილოში ჩატარებული იქნა ინსპექტირება.⁶⁰ საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმების ფაქტს და ხაზს უსვამს, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს აღნიშნული პრაქტიკა და რეგულარულად განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმება, ამასთან შემოწმების შედეგები ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის.

ევროპული ციხის წესების მიხედვით პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.⁶¹ აღსანიშნავია, რომ საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები. მნიშვნელოვანია, რომ მენიუს შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას რელიგიური თავისებურებები.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ **გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევა, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალ**

⁵⁹ მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.

⁶⁰ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ N6 დაწესებულების სასადილოში ჩატარებული ინსპექტირების შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა N03-1/5735 წერილით.

⁶¹ ევროპული ციხის წესები, მუხ. 22.1.

დამოკიდებულების და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემა

- ❖ დაამტკიცოს ერთიანი, სპეციალური ფორმა, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა აღნიშნული ფორმა სრულყოფილად შეავსოს
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულების არასამედიცინო პერსონალი არ იყოს ჩართული პაციენტის სამედიცინო მომსახურებაზე ჩასაწერად
- ❖ დაწესებულებაში მყოფი პაციენტების რაოდენობის გათვალისწინებით დაემატოს სტომატოლოგის შტატი
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას სათანადო რაოდენობის მედიკამენტები
- ❖ სრულად იქნას დაცული ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები
- ❖ საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები

სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფროსს:

- ❖ რეგულარულად განხორციელდეს N8 პენიტენციური დაწესებულების სასადილოს შემოწმება, ამასთან შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის

7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.⁶² ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პაციენტებთან და პაციენტებს შორის.⁶³ ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე ჩადენილი დანაშაულის პროპორციული უნდა იყოს.⁶⁴ დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი

⁶² ციხის ევროპული წესები. წესი 56.1.

⁶³ იქვე, წესი 56.2.

⁶⁴ იქვე, წესი 60.2.

სხვა სახდელები.⁶⁵ მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.⁶⁶

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე და ნელსონ მანდელას წესებთან შესაბამისობაში. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2014 წლის 27-28 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა N8 დაწესებულების დირექტორს დისციპლინური სახდელის დაკისრებისას ეხელმძღვანელა პროპორციულობის პრინციპით და სამარტოო საკანში მოთავსება გამოეყენებინა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუმცა 2015 წლის 24-26 დეკემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ეს რეკომენდაცია არ შესრულებულა.

დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,⁶⁷ 2015 წლის მანძილზე, პატიმართა მიმართ გამოყენებულ იქნა 2172 დისციპლინური სახდელი, აქედან 556 შემთხვევაში -სამარტოო საკანში მოთავსება. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	2015 წელს გამოყენებული დისციპლინური სახდელის სახეები	რაოდენობა
1	სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა	684
2	სამარტოო საკანში მოთავსება	556
3	ამანათისა და გზავნილის მიღების შეზღუდვა	495
4	საყვედური	184
5	მაღაზიით სარგებლობის აკრძალვა	170
6	ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	79
7	გაფრთხილება	3
8	ნებადართული ნივთებით (ტელევიზორი) სარგებლობის უფლების შეზღუდვა	1
სულ		2172

⁶⁵ იქვე, წესი 60.3

⁶⁶ იქვე, წესი 60.4

⁶⁷ 2016 წლის 20 იანვარს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული, N8 დაწესებულების დირექტორის N663/16 წერილობითი პასუხი.

როგორც ცხრილში ასახული მონაცემებიდან ჩანს, დაწესებულებაში ყველაზე ხშირად (31.49%) დისციპლინური სახდელის სახით გამოყენებულ იქნა სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა.

წელი	2014	2015
პატიმართა საშუალო რაოდენობა	2677	2662
დისციპლინური სახდელების რაოდენობა	1623	2172
სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევები	565	556

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნათლად ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში პატიმართა საშუალო რაოდენობა 2014 და 2015 წლის მანძილზე თითქმის ერთნაირი იყო, 2015 წელს გაიზარდა დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა, თუმცა ამ ფონზე არ გაზრდილა სამართლო საკანში პატიმართა მოთავსების შემთხვევები.

2014 წლის 27-28 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს შეესწავლა N8 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მომატებული პრაქტიკა და მიეღო ყველა გონივრული ზომა დისციპლინური სახდელების პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ითქვას, რომ 2014 წელთან შედარებით დაწესებულებაში შეინიშნება დისციპლინური სახდელების დაკისრების ზრდის ტენდენცია, თუ 2014 წელს N8 დაწესებულებაში 1623 დისციპლინური სახდელი იქნა გამოყენებული, 2015 წელს ეს რიცხვი 2172-ია. დისციპლინური დასჯის შემთხვევები საანგარიშო პერიოდში 25,27 %-ით გაიზარდა.

2015 წლის ბოლო 8 თვესა და 2016 წლის პირველ 8 თვეში N8 დაწესებულებაში გამოყენებული დისციპლინური სახდელები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

დისციპლინური სახდელების გამოყენება	2015 წლის ბოლო 8 თვის მონაცემები	2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემები
საყვედურის გამოცხადება	163	232
პაემანის აკრძალვა	61	77
მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	143	39
ამანათით და გზავნილით მიღების შეზღუდვა	373	204
სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა	441	607

სამართლო საკანში მოთავსება	372	305
პირადი ხასიათის კორესპოდენციის მიღენა-გაგზავნის უფლების შეზღუდვა	-	7
გაფრთხილება	3	1
ნებადართული ნივთით (ტელევიზორით) სარგებლობის შეზღუდვა	1	-
სულ	1 557	1 472

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 2 507 პატიმარი იყო, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე 2 420, 2016 წელს პატიმართა რაოდენობის უმნიშვნელო შემცირებასთან ერთად, უმნიშვნელოდ შემცირდა დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკა (მათ შორის უმნიშვნელოდ შემცირდა სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევები).

აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მანძილზე დისციპლინური სახდელის დაკისრების არც-ერთი გადაწყვეტილება პატიმართა მხრიდან არ გასაჩივრებულა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის სტანდარტებში ხაზს უსვამს, რომ პატიმარს წერილობით უნდა ეცნობოს მის წინააღმდეგ გამოყენებული ზომის მიზეზების შესახებ, მას უნდა მიეცეს თავისი აზრის გამოხატვისა და მის წინააღმდეგ გამოყენებული ღონისძიების სათანადო უწყებაში გასაჩივრების შესაძლებლობა.⁶⁸

პატიმრობის კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, რომელსაც ბრალად ედება დისციპლინური დარღვევის ჩადენა, უფლება აქვს: ა) მისთვის გასაგებ ენაზე ეცნობოს დარღვევის არსი და საფუძველი; ბ) ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში; გ) ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, მათ შორის, „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამ კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“⁶⁹ და „ზ“⁷⁰ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ ამას თავად მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში; დ) მოითხოვოს დისციპლინურ განხილვაზე მოწმეთა დასწრება და დაკითხოს მოწმეები საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევაში; ე) ისარგებლოს თარჯიმნის უფასო მომსახურებით, თუ მას არ ესმის სამართალწარმოების ენა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში გამოკითხულ პატიმართაგან არც ერთი არ ადასტურებს ზემოაღნიშნული უფლებებით სარგებლობის ფაქტს. პატიმართა გადმოცემით, მთ არავინ არ აცნობებს ზემოაღნიშნული უფლებების არსებობის შესახებ. ისინი მხოლოდ ფაქტის წინაშე დადგომის შემდგომ, ანუ დისციპლინური სახდელის შესახებ განკარგულების ჩვენების შედეგად იგებენ მათი დასჯის შესახებ.

⁶⁸ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, გვ. 27-28, პუნქტი 55, ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე შემდეგ მისამართზე: <<http://www.cpt.coe.int/lang/geo/geo-standards.pdf>> [ბოლოს ნანახია 02.12.2016].

⁶⁹ დისციპლინური სახდელის სახე: საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 6 თვემდე ვადით

⁷⁰ დისციპლინური სახდელის სახე: სამართლო საკანში მოთავსება 14 დღემდე ვადით

გარდა ამისა, პატიმართა მიერ დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის აბსოლუტური მაჩვენებელი ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ N8 დაწესებულებაში არსებული დამაბული ფსიქოლოგიური ფონი, რომელსაც სავარაუდოდ ქმნის ციხის ადმინისტრაცია, დამორგუნველად მოქმედებს პატიმრებზე, იწვევს მათში უიმედობის განცდას და თვლიან რომ ნებისმიერი საჩივარი წარუმატებელი იქნება, ამიტომ არც კი ცდილობენ რომ ისარგებლონ გასაჩივრების უფლებით. ასეთი ტენდენცია კი თავის მხრივ შეიცავს ციხის ადმინისტრაციისაგან თვითნებობის ჩადენის მაღალ რისკს, რადგან მათ იციან რომ მსჯავრდებულები ნიჰილისტურად არიან განწყობილი და ადმინისტრაციის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას შესაძლოა უკანონოდაც კი დაეკისროს პატიმარს რაიმე სახის დისციპლინური სახდელი.

პატიმართა წახალისება

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლის თანახმად, სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) ამოღებულობა;
- გ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- ე) ამოღებულობა;
- ვ) პირადი ტელევიზორით, კომპიუტერით ან რადიომიმღებით სარგებლობა;
- ზ) დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
- თ) დამატებითი ხანგრძლივი პაემანი;
- ი) დამატებითი ვიდეოპაემანი;
- კ) დამატებითი საოჯახო პაემანი (ქალი მსჯავრდებულისათვის);
- ლ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა;
- მ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით.⁷¹

⁷¹ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

2015 წლის მანძილზე N8 დაწესებულებაში პატიმართა წახალისების შემთხვევები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	2015 წლის მანძილზე გამოყენებული წახალისების ფორმები	რაოდენობა
1	მადლობის გამოცხადება	205
2	დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა	82
3	დამატებითი სატელეფონო საუბარი	57
4	დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა	14
სულ		358

2015 წელს წახალისების 358 შემთხვევიდან 191 შემთხვევაში სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულები წახალისდნენ. რაც შეეხება 2014 წელს, ამავე დაწესებულებაში პატიმართა წახალისების 351 შემთხვევა დაფიქსირდა, აქვე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2014 წლის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 2677, ხოლო 2015 წელს 2662 პატიმარი, გამოდის, რომ 2015 წელს წინა წელთან შედარებით წახალისების შემთხვევების რაოდენობა არ შეცვლილა.⁷² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ფონზე, რომ N8 დაწესებულება არის პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება, დასაინანია, რომ დაწესებულების დირექტორი აქტიურად არ იყენებს წახალისების ისეთ ფორმებს, რომელიც ხელს შეუწყობს პატიმრების გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნებას (იგულისხმება პაემნებით სარგებლობისა და სატელეფონო საუბრის უფლებები).

2015 წლის ბოლო 8 თვისა და 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე დაწესებულებაში პატიმართა წახალისების შემთხვევები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

წახალისების შემთხვევები	2015 წლის ბოლო 8 თვის მონაცემები	2016 წლის პირველი 8 თვის მონაცემები
დამატებითი ხანმოკლე პაემანი	51	54
მადლობის გამოცხადება	139	80

⁷²სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე <http://www.moc.gov.ge/ka/statistika/yovelthviuri-angarishi> არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გამოყვანილ იქნა 2014 და 2015 წლებში N8 დაწესებულებაში პატიმართა საშუალო რაოდენობის მაჩვენებლები (2014 წლის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 2677, ხოლო 2015 წელს 2662 პატიმარი იყო).

დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა	8	19
პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით ⁷³	-	9
დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლება	18	10
სულ	216	172

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 2 507 პატიმარი იყო, ხოლო 2016 წლის პირველი 8 თვის მანძილზე 2 420, 2016 წელს პატიმართა რაოდენობის უმნიშვნელო შემცირებასთან ერთად, ასევე შემცირდა დაწესებულებაში წახალისების შემთხვევები.

- სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აუცილებელია გაიზარდოს N8 დაწესებულებაში პატიმართა წახალისების შემთხვევები, ვინაიდან პატიმართა ხშირი წახალისებას შეუძლია შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენა და ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება
- ❖ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება
- ❖ სამართლო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში

რეკომენდაცია N8 დაწესებულების დირექტორს:

- ❖ სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები, როგორც სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ, ასევე რიგითი პატიმრების მიმართ.

8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის რეკომენდაციებში ხაზს უსვამს თითოეული თავისუფლება აღკვეთილი პირისთვის ოჯახთან მყარი კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობას. კომიტეტის თანახმად, „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა

⁷³ პატიმრობის კოდექსის 66-ე მუხლი „მ“ პუნქტი.

ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს.⁷⁴ ნელსონ მანდელას წესების 106-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი. ამავე კოდექსის 123-ე მუხლის თანახმად კი, ბრალდებული 2016 წლის 1 იანვრამდე სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით, პროკურორის ან გამომძიებლის ნებართვის საფუძველზე. დადებითად უნდა აღინიშნოს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილება რომლის თანახმადაც, ბრალდებული 2016 წლის 1 იანვრიდან სარგებლობს 1 თვის განმავლობაში არა უმეტეს 4 ხანმოკლე პაემნის უფლებით. ბრალდებულის აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე. გამომძიებლისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრობის დაწესებულების თანამშრომელს, რომელიც ვიზუალურად აკვირდება ბრალდებულის ხანმოკლე პაემანს, შეუძლია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მისი მსვლელობა.⁷⁵

2015 წელს N8 დაწესებულებაში განხორციელდა 8921 ხანმოკლე პაემანი. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ მოთავსებული იყო 2578 პატიმარი, დაწესებულების ტიპიდან გამომდინარე თითოეულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ერთხელ მაინც უნდა ესარგებლა ხანმოკლე პაემნით, მიუხედავად ამისა თვის განმავლობაში ხანმოკლე პაემნით პატიმართა დაახლოებით მესამედი სარგებლობდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას პატიმრები მიუთითებენ, რომ პაემნით სარგებლობას ხელს უშლის პატიმართა განთავსების დროს საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა, ასევე პატიმართა ოჯახების მატერიალური მდგომარეობა.

მიუხედავად პატიმრობის კოდექსში განხორციელებული დადებითი ცვლილებისა 2016 წლის პირველი 8 თვის სტატისტიკურმა მონაცემებმა აჩვენა, რომ 2015 წლის ბოლო 8 თვესთან შედარებით ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის მაჩვენებელი შემცირებულია. 2016 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით N8 დაწესებულებაში განხორციელდა 5754 პაემანი.

2015 და 2016 წლებში N8 დაწესებულებაში ბრალდებულების/მსჯავრდებულების მიერ ხანმოკლე პაემნებით სარგებლობა თვეების მითითებით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

⁷⁴ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების სარეზოლუციო ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37

⁷⁵ პატიმრობის კოდექსი, მუხლი 77

თვე	ხანმოკლე პაემნების რაოდენობა 2015 წელი	ხანმოკლე პაემნების რაოდენობა 2016 წელი
იანვარი	797	592
თებერვალი	766	651
მარტი	865	705
აპრილი	766	705
მაისი	817	803
ივნისი	814	848
ივლისი	780	869
აგვისტო	734	781
სექტემბერი	724	-
ოქტომბერი	693	-
ნოემბერი	520	-
დეკემბერი	645	-

აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. გარდა ამისა, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული იმ მიზნის მიღწევისა, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. სხვა შემთხვევაში, პატიმართა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში მსგავსი ჩარევა გაუმართლებელი იქნება.

ოჯახთან კონტაქტი წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პატიმრებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც პრივილეგია. მანდელას წესების 43-ე წესის მესამე პუნქტში აღნიშულია, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და იმ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.

ევროპული ციხის წესები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრების უფლებას, პაემნების საშუალებით ხშირი ურთიერთობა იქონიონ ოჯახის წევრებთან.⁷⁶ აღნიშნული წესები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად

⁷⁶ ევროპის ციხის წესები, წესი 24.1

ნორმალურ გარემოში.⁷⁷ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 23-ე მუხლის მიხედვით, ოჯახი საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი უჯრედია და უფლება აქვს, დაცული იყოს საზოგადოების და სახელმწიფოს მიერ. აღნიშნულის დაცვას ემსახურება მსჯავრდებულთა მიერ ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება, რომელიც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნებას, რაც ხელს უწყობს სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულის ოჯახთან და საზოგადოებასთან რეინტეგრაციის პროცესს.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. პენიტენციური დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში არ არსებობს ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ხანგრძლივი პაემნით სარგებლობენ მხოლოდ უვადოდ თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები. როგორც წესი, პატიმრების ოჯახის წევრებთან წინასწარი შეთანხმებით, თვეში ერთხელ ხდება უვადო მსჯავრდებულების ტრანსპორტირება N6 დაწესებულებაში, სადაც ეწყობა ხანგრძლივი პაემანი. 2015 წელს N6 დაწესებულებაში 55 ხანგრძლივი პაემანი განხორციელდა N8 დაწესებულების მსჯავრდებულების მიერ. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელის პირველი 8 თვის განმავლობაში ხანგრძლივი პაემნით მსჯავრდებულებმა ისარგებლეს 81 შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ გზარდილია ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მაჩვენებელი მნიშვნელოვანია ყველა მსჯავრდებულმა შეძლოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით სარგებლობა.

სახალხო დამცველმა არაერთი რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რათა N8 დაწესებულებაში შექმნილიყო ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა და N8 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებს არ აქვთ მათთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზების შესაძლებლობა.

პატიმრობის კოდექსის მე-17¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულისა და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხდით) ნებისმიერ პირთან. აღსანიშნავია, რომ N8 დაწესებულებაში არ არის ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, მსჯავრდებულები ვერ

⁷⁷ ევროპული ციხის წესები, წესი 24.4

სარგებლობენ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებით. სახალხო დამცველმა N8 დაწესებულებაში ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურის მოწყობის რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა.

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, უფლება აქვს, 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით - ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული - არა უმეტეს 15 წუთისა.

N8 დაწესებულებაში ტელეფონის აპარატები განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგო ოთახებში, რაც შეუძლებელს ხდის სატელეფონო საუბრის დროს კონფიდენციალობის დაცვას. რითაც ირღვევა საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ მუხლი 20, რომლის თანახმადაც ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

რაც შეეხება კორესპონდენციას, პრობლემას წარმოადგენს დაწესებულებაში მყოფი პატიმრის მიერ თანხმლები პირის გარეშე საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა. ამასთან, საჩივრების ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება. კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტს პატიმარს სოციალური მუშაკი აძლევს საკანში. შესაბამისად კონვერტის მიღება პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე არ ხდება. აქედან გამომდინარე დაწესებულებიდან მცირე რაოდენობის კონფიდენციალური წერილი იგზავნება. N8 დაწესებულების დირექტორისგან მიღებული პასუხის თანახმად, 2015 წელს საჩივრის ყუთის გამოყენებით გაიგზავნა 17 კონფიდენციალური წერილი.⁷⁸ N8 დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის MOC31600797659 წერილის თანახმად, 2016 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით დაწესებულებაში განთავსებული იყო 5 საჩივრის ყუთი, რომლის გამოყენებითაც არც ერთი კონფიდენციალური წერილი არ გაგზავნილა.

რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- ❖ ტელეფონების აპარატები განთავსდეს იმგვარად, რომ პატიმარმა შეძლოს სატელეფონო ზარის თანამშრომლის მოსმენის გარეშე განხორციელება
- ❖ უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა

⁷⁸ N8 დაწესებულების ტერიტორიაზე მოთავსებულია 6 საჩივრის ყუთი, მათგან ერთი არასრულწლოვანთა კორპუსში.

- ❖ უზრუნველყოს N8 დაწესებულებაში ვიდეოპაემნისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად ეხმარებოდეს